სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/53

ქ. თბილისი 19 მაისი 2022 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების/შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილების განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის, ქალბატონ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების" მიღებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 09 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში" სათანადო ცვლილებების შეტანამდე, დოქტორანტებისათვის **სადისერტაციო თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების/შეცვლის თაობაზე** გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტისა და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**